წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N15

ქ.წალენჯიხა 31 ივლისი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია,ივერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, კობა შანავა, ბაჩუკი უბილავა

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი სევერიანე შეროზია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურები.

სხდომა დაიწყო: 15:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 16:10 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თ.ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N 32 ).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 23 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
გამგებლის მ/შ-ს მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **კორნელ კვარაცხელია**– მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: **ვლადიმერ გაბელია**-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: **ვლადიმერ გაბელია**-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **სევერიანე სეროზია**-მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენის, ცნობის გაცემის წესისა და ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 აგვისტოს N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **სევერიანე სეროზია**-მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

6. "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **სევერიანე სეროზია**-მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: **თეიმურაზ მებონია,** მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეიმურაზ მებონია, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

9.სხვადასხვა.

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით

გამგებლის მ/შ-ს მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **კორნელ კვარაცხელია** – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ბ) გამგებლის განცხადების თაობაზე

მომხსენებელი: **ვლადიმერ გაბელია**-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

**მოისმინეს: 1 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N22 ) .

**მოისმინეს: 2 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა მისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 23 )

**მოისმინეს 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 24 ).

**მოისმინეს 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა სევერიანე შეროზიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 25) .

**მოისმინეს: 5 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობისა და პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენის, ცნობის გაცემის წესისა და ცნობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 აგვისტოს N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა სევერიანე შეროზიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 26) .

**მოისმინეს: 6. "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა სევერიანე შეროზიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 33) .

**მოისმინეს: 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკითხის განხილვა მიმდინარეობდა მწვავე დებატების ფონზე. საკრებულოს წევრთა უმრავლესობა უკმაყოფილო იყო აღნიშნული საკითხის არასასრულყოფილად წარმოდგენის გამო გამგეობის შესაბამისი სამსახურის მუშაობით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა ივერ კვარაცხელიამ ისაუბრა ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ საკითხის ზედაპირულად და არასრულყოფილად მომზადების თაობაზე .

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით სპეციალური კომისიის შეიქმნა რომელიც შეისწავლიდა ამ საკითხებს და წარუდგენდა საკრებულოს დასკვნებს. რაზეც საკრებულოს წევრმა ანზორ ფიფიამ ზედმეტად მიიჩნია ასეთი კომისიის შექმნა, რადგან საკრებულოს შესაბამისი კომისიის ერთერთი ფუნქცია სწორედ საკითხის შესწავლა და შესაბამისად დასკვნის წარმოდგენაა.

გამომდინარე იქიდან, რომ საკითხით წარმოდგენილ სარგებლობაში გასაცემ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების და წალენჯიხის აგრალური ბაზრის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აფასებისას იყო გარკვეული სახის შეუსაბამობები და ხარვეზები, საკრებულოს დამსწრე წევრების უმრავლესობა შეთანხმდნენ ობიექტების სრულყოფილად შესწავლამდე ნუსხიდან ამოღების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ ზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი ერთი (დავით ბელქანია)) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 34) .

**მოისმინეს 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

.

აზრი გამოთქვეს:

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა ,რომ საკრებულოსთან უნდა იყოს შეთანხმებული აუქციონის ტარიფები და პირობები, ასევე, ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ ობიექტით დაინტერესებული პირების ვინაობა.

ასევე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა აღნიშნა, რომ ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანილ მიწის ნაკვეთთან( 293 მ²) დაკავშირებით არის გარკვეული უზუსტობები, მათ შორის მისამართიც და მოითხოვა ამ ობიექტის, ამ ეტაპზე საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან ამოღება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულომ გადაწყვიტა მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. ჯვარი, სოხუმის ქუჩაზე (293 მ²) (და არა რუსთაველის ქუჩა, როგორც განკარგულების პროექტშია მითითებული),საკითხის საბოლოოდ შესწავლამდე , ამოღებულიქნეს ქონების საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხიდან.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 35).

**მოისმინეს 9. სხვადასხვა.**

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკრებულოს მიერ 2017 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით მიღებულიქნა ცნობად.

ბ) გამგებლის განცხადების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

აღნიშნული საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თ.ღვინჯილია